ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N2
(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან)

2025 წელი; 19 ნოემბერი; 13:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
მარიამ გრიგოლიშვილი
ცოტნე ჩიქვინიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ალექსანდრე ასათიანი
ზურაბ ჩიკვილაძე

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით **განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 72-ე მუხლით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში** (არაუგვიანეს 15 ნოემბრისა) **წარმოდგენის სამართლებრივი პროცედურის/წესის დაცვით, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას.**

მომხსენებელმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 082 482,2 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 99 304,2 ათასი ლარით და ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსებას:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - **656 339,7 ათასი ლარი;**
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - **278 531,3 ათასი ლარი;**
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **292 760,6 ათასი ლარი;**
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **3 079,5 ათასი ლარი;**
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **47 491,3 ათასი ლარი;**
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **182 384,4 ათასი ლარი;**
- განათლება - **300 602,4 ათასი ლარი;**
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **50 558,8 ათასი ლარი;**
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - **13 196,7 ათასი ლარი.**
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - **257 537,5 ათასი ლარი.**

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი, დედაქალაქის მასშტაბით განსახორციელებელი ფინანსური გადაწყვეტები, რომლებიც შედარებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მონაცემებთან, შემდეგი სახით:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენისათვის განსაზღვრულია 656 339,7 ათასი ლარი და აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში:**

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 102 856,0 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისათვის ჯამში - 59 856,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 26 456,2 ათასი ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში გადასახდელი დღგ - 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში გადასახდელი დღგ - 3 000,0 ათასი ლარი); მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა - 200,0 ათასი ლარი (თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის ფარგლებში გადასახდელი დღგ); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 17 000,0 ათასი ლარი (თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის (AIIB) ფარგლებში გადასახდელი დღგ); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 479 827,5 ათასი ლარი (რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა (მეტრო) ტრანსპორტის, საბაგიროს, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მიერ გაწეული მომსახურების საფასური (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია 144 000,0 ათასი ლარი), დაიწყება დიდი დიღმიდან მეტრო დიდუბემდე ტრამვაის ხაზის (მრავალწლიანი პროექტი) პროექტირება/მშენებლობა - 30 000,0 ათასი ლარი.

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება განისაზღვრა 278 531,3 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (246 495,3 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 32 036,0 ათასი ლარით და ითვალისწინებს შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსებას:**

საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 32 703,8 ათასი ლარი (მათ შორის ხიდების და გვირაბების მოწყობა რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 7 000,0 ათასი ლარი (დაახლოებით 37-მდე შენობა-ნაგებობის გამაგრება), გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 43 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 79 646,9 ათასი ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 72 491,4 ათასი ლარი), ავარიული სახლების ჩანაცვლება - 20 000,0 ათასი ლარი (გრძელდება 3 კორპუსის მშენებლობა, ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამგორის რაიონში ბინის ქირით უზრუნველყოფილია 130 ოჯახი - 1 580,1 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 74 ოჯახი - 871,2 ათასი ლარი, ხოლო ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტისათვის (1კვ. – 286 ლარი) გათვალისწინებულია 2 200,0 ათასი ლარი), ქალაქის განვითარების ხელშეწყობის - 73 036,1 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა: ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოების, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახდელად გათვალისწინებულია 2 280.0 ათასი ლარი).

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება განისაზღვრა 292 760,6 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (263 120,9 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 29 639,7 ათასი ლარით და აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში:**

გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 100 801,3 ათასი ლარი (მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მწვანე კუნძულების მოწყობა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერდობებზე ტყის გაშენება, სათამაშო ატრაქციონებისა და სპორტული ტრენაჟორების მცენარეთა შეძენა და სხვა), დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 152 389,9 ათასი ლარი (მათ შორის, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 1 000,0 ათასი ლარი, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების შესაძენად - 2 000,0 ათასი ლარი), ბოტანიკური ბაღის და თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 17 165,5 ათასი ლარი (მათ შორის ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე ვოლიერების მშენებლობა, ვოლიერების/შენობების რეაბილიტაცია და სხვა - 7 000,0 ათასი ლარი);

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვრა 3 079,5 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება შემდეგი პროგრამების დაფინანსება:**

ბიზნესის სტიმულირება - 1 583,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 326,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 130,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა - 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 480,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი;

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განისაზღვრა 47 491,3 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:**

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები. ამასთანავე, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები რაიონების მიხედვით გადანაწილდება შემდეგი სახით: გლდანის რაიონში - 4 685,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 4 450,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 859,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 650,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 5 300,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 5 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 6 950,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 3 067,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა 182 384,4 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (165 575,2 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 16 809,2 ათასი ლარით. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში:**

ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 44 329,3 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. **სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 138 055,1 ათასი ლარი.** გაგრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის თანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა.

- **განათლება დაიგეგმა 300 602,4 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (261 539,9 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 39 062,5 ათასი ლარით.**

პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 248 784,7 ათასი ლარის ოდენობით (გაგრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: გაგრძელდება ერთი ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, ხოლო დასრულდება 3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია (მათ შორის 2 არსებული ბაღის ნაცვლად ახლის მშენებლობა და ერთი ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა.

- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა განისაზღვრა 50 558,8 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 294,0 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 11 264,8 ათასი ლარით. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:**

კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (მათ შორის მუხიანის რაგბის

კომპლექსის მოედნების რეაბილიტაცია, დაიწყება „ამერის“ სპორტული კომპლექსის (მოედნების) სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება), სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები; გაგრძელდება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი) და სპორტი უფროსი თაობისთვის (60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა). დაიწყება დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები (მრავალწლიანი პროექტი). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება განისაზღვრა 13 196,7 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები:**

თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 1 841,3 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 11 355,4 ათასი ლარით.

- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის განისაზღვრა 257 537,5 ათასი ლარი.**

პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 4 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) – 7 050,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება - 5 828,6 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება - 7 590,0 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება - 3 900,0 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება - 2 400,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 6 319,3 ათასი ლარი, თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) – 11 250,0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 8 260,3 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 35 059,9 ათასი ლარი.

როგორც გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ინფორმაციული ხასიათის დანართები, რომლებიც ასახავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების, კაპიტალური პროექტების, ბიუჯეტით გათვალისწინებული

პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ების, ა(ა)იპ-ების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების შესახებ. ამასთანავე, **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების ჩართვას.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს, შესაბამისი პასუხისმგებელი საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამულ კოდში და **აქვე დასძინა,** რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **დადგენილების პროექტი იურიდიულად გამართულია და შესაბამისობაშია** მოქმედ **კანონმდებლობასთან;** აღნიშნულიდან გამომდინარე, **ერთხმად იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული,** ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 72-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების დაცვის მიზნით, წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი